

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ყალბი ინფორმაციის ერაში

გიორგი ნადირაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლის და პოლიტიკის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

აბსტრაქტი

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში გაჩნდა ტერმინი ჰიბრიდული საფრთხეები/ომი, რომელიც თავის მხრივ შეიცავს „რბილი ძალის“ პოლიტიკას, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან.

დღეს მსოფლიოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. აღსანიშნავია, რომ თუ არა ეს უფლება, ბევრი სხვა უფლების რეალიზება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. ამასთანავე ვერც დემოკრატიული პროცესები განვითარდებოდა, რადგან ხალხია ხელისუფლების წყარო და თუ მათ შეეზღუდათ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, მაშინ ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება შეუძლებელი იქნება. საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, ადგენს, რომ ამ უფლების შეზღუდვის ერთ-ერთი საფუძველია საზოგადოებისა და ქვეყნის უსაფრთხოება. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, რომ თანამედროვე საგარეო პოლიტიკური პროცესები, რომლებიც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას არის ამოფარებული, შეიძლება თუ არა გახდეს მიზეზი იმისა, რომ შეიზღუდოს ეს უფლება. საქართველოში არსებული რეალობის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ პოლიტიკური საფრთხე რეალურია, თუმცა ამ მხრივ, საქართველოს კანონმდებლობა ზუსტად პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. მნიშვნელოვანია ასევე ამერიკის შეერთებული შტატებისა (შემდგომ აშშ) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომ ევროპული სასამართლო) პრაქტიკა, ერთი მხრივ, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასა და, მეორე მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოებას შორის არსებულ ბალანსზე.

დასასრულს აღსანიშნავია, რომ აშშ-ს და ევროპული სასამართლოს პრაქტიკას იზიარებს დღეს მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ხაზს უსვამს სიტყვისა და გამოხატვის

თავისუფლების მნიშვნელობას და მისი შეზღუდვის ბლანკეტური ფორმის დაუმუშავლობას.